Heglas v. The Czech Republic

ჰეგლასი ჩეხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ

საჩივარი N5935/02

გადაწყვეტილება

1 მარტი 2007

ფაქტები

მომჩივანი, ვ. ჰეგლასი, არის ჩეხეთის მოქალაქე, რომელიც დაიბადა 1976 წელს. ის ამჟამად დაპატიმრებულია ქალაქ ვალდიცეში (ჩეხეთი).

2000 წლის 19 იანვარს თავს დაესხნენ ქალბატონს და მოიპარეს მისი ხელჩანთა, რომელშიც იდო დიდი ოდენობით თანხა (დაახლოებით 8,730 ევრო). შემთხვევიდან მეორე დღეს, 20 იანვარს პოლიციამ დააკავა ა.მ.. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისი ნორმების საფუძველზე 2000 წლის 21 იანვრის რაიონული სასამართლოს მოსამართლის გადაწყვეტილებით მომჩივნის მობილური ისმინებოდა და იწერებოდა, მან დააკონკრეტა, რომ მოსმენა და ჩაწერა უნდა შესრულებულიყო 2000 წლის 21 იანვრიდან 21 თებერვლამდე. 2000 წლის 24 იანვარს ა.ბ. რომელიც იყო ა.მ-ს შეყვარებული, შეხვდა მომჩივანს. მას ტანსაცმლის ქვეშ დამალული ჰქონდა პოლიციის მოსასმენი აპარატი. ჩაწერილი საუბრის დროს მომჩივანმა აღიარა რომ ა.მ-სთან ერთად დაგეგმა ზემოხსენებული ქალბატონის დაყაჩაღება. პოლიციამ უარყო მომჩივნის მოთხოვნა, რომ გამოერიცხა საუბრის ჩანაწრი საქმის მასალებიდან და აღნიშნა, რომ ეს გაკეთდა კანონის შესაბამისად და ა.ბ-ს თანხმობით. საქალაქო სასამართლომ მომჩივანი და ა.მ. დამნაშავედ ცნო ყაჩაღობის ბრალლდებით და მიუსაჯა ცხრა წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც მათ გაასაჩივრეს. საქალაქო სასამართლომ გადაწყვეტილება მიიღო სხვადასხვა ჩვენებებსა და დოკუმენტებზე დაყრდნობით, თუმცა წერილობითი მტკიცებულებების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი იყო ბრალდებულების ტელეფონებში სატელეფონო ზარების სია. მომჩივანსა და ა.ბ-ს შორის საუბრის ტრანსკრიფცია აღწერილი იყო როგორც გადამწყვეტი, თუმცა არა ერთადერთი მტკიცებულება, მათ წინააღმდეგ. მომჩივნის შუამდგომლობის საპასუხოდ, რომ ეს მტკიცებულება იყო უკანონო, საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ ა.ბ-მ თანხმობა მისცა მოსასმენი მოწყობილობების დაყენებაზე და

რომ სსსკ-ის თანახმად, ყველაფერი რაც სისხლის სამართლის საქმეს ნათელს მოჰფენდა, შეიძლება გამოყენებული იქნეს მტიცებულებებში. უზენაესმა სასამართლომ მხარი დაუჭირა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილებას და დაადასტურა მასში გაკეთებული დასკვნების ნამდვილობა. მომჩივანმა ასევე შეიტანა კონსტიტუციური სარჩელი, ამტკიცებდა, რომ მისი და ა.ბ-ს საუბრის ჩაწერა და მტკიცებულებად გამოყენება, მის ინკრიმინირებას ახდდენდა ბრალდების წაყენებამდე, რითაც ირღვეოდა კონვენციის მე-6 და მე-8 მუხლები. სატელოფონო კომპანიამ ა.მ-ს აცნობა, რომ სატელეფონო ზარების სია შედგენილი იყო სისხლის სამართლის გამოძიებასთან დაკავშირებით ხელისუფლების მოთხოვნით, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისი დებულების საფუძველზე. მოგვიანებით იგი ასევე, უთითებდა დებულებას ტელეკომუნიკაციის შესახებ კანონიდან.

საკონსტიტუციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა მომჩივნის სარჩელი და სხვა მოსაზრებებთან ერთად, დაადგინა, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა იგი გაასამართლეს სხვადასხვა მტკიცებულებების საფუძველზე, რომლებიც კანონიერად იქნა მოპოვებული და შეფასებული. რაც შეეხება ა.ბ-ზე მიმაგრებულ დამალულ მოსასმენ და ჩამწერი მოწყობილობების გამოყენებას, საკონსტიტუციო სასამართლო დაეთანხმა უზენაეს სასამართლოს, რომ ეს არ იყო აკრძალული ზომა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ფარგლებში. თუმცა, მან მიიჩნია, რომ სისხლის სამართლის საქმისწარმოებაში ჩანაწერი არ უნდა ყოფილიყო გამოყენებული მტკიცებულებად, მიუხედავად ამისა, მას არ გამოუცხადებია აღნიშნულ სამართალწარმოებაში მიღებული გადაწყვეტილება არაკონსტიტუციურად, რადგან მომჩივნის მსჯავრდება ემყარებოდა არაერთ მტკიცებულებას. საკონსტიტუციო სასამართლომ აშკარად დაუსაბუთებლად ცნო ა.მ-ს კონსტიტუციური სარჩელი.

მომჩივანი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (სტრასბურგის სასამართლოს) წინაშე დავობდა, რომ ა.ბ-ს ტანსაცმლის ქვეშ მოთავსებული მოსასმენი მოწყობილობის გამოყენებით, მასთან საუბრის ჩაწერითა და მათ შორის სატელეფონო ზარების სიის ამოღებით ირღვეოდა კონვენციის მე-8 მუხლი.

სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილება

კონვენციის მე-8 მუხლი

რაც შეეხება მომჩივანსა და ა.მ-ს შორის სატელეფონო ზარების სიის გამოყენებას სტრასბურგის სასამართლო მიიჩნევს, რომ ამგვარი სიის გამოყენება, მომჩივნის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი დევნის კონტექსტში, წარმოადგენდა

მისი პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებაში ჩარევას. მან აღნიშნა, რომ მომჩივნის სატელეფონო საუბრების ჩაწერა მოხდა მოსამართლის 2000 წლის იანვრის ბრძანების საფუძველზე რომელიც, თავის მხრივ, საკუთარ გადაწყვეტილებას აფუძნებდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 88 მუხლს. ამასთან, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 88 (ა) მუხლი, რომელიც სისხლის სამართლის ორგანოებს უფლებამოსილებას აძლევდა მოეპოვებინათ ზარების სია, სხვა მტკიცებულებებთან ერთად, ძალაში შევიდა 2002 წლის 1 იანვარს. რაც შეეხება მთავრობის მიერ გამოყენებულ ტელეკომუნიკაციების შესახებ კანონს, რომლის 84-ე მუხლის მე-7 პუნქტის მიხედვით სისხლის სამართლის გამოძიების ორგანოებს უფლება აქვთ მოიპოვონ სატელეფონო ზარების სია ან ტელეკომუნიკაციის სხვა ფორმები, ძალაში შევიდა 2000 წლის 1 ივლისს.

თუნდაც ვივარაუდოთ, რომ ჩეხეთის კანონმდებლობა ითვალისწინებდა მომჩივნის სატელეფონო ზარების სიის შედგენის სამართლებრივ საფუძველს, სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნა, რომ ჩეხეთის სასამართლოებს მიეწოდა ზარების ის სია, რომელიც ფარავდა ორ დღეს სატელეფონო ზარების მოსმენის შესახებ ბრძანების გაცემის თარიღამდე.

აქედან გამომდინარე, სტრასბურგის სასამართლომ მიიჩნია, რომ ჩარევა არ იყო „კანონის შესაბამისი“ და დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევას.

რაც შეეხება მომჩივანსა და ა.ბ - შორის საუბრის დიქტოფონზე ჩანაწერს, სტრასბურგის სასამართლო მიიჩნევს, რომ ეს ჩანაწერი და მისი გამოყენება არღვევდა მომჩივნის პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებას.

მის ხელთ არსებული ინფორმაციის საფუძველზე, სტრასბურგის სასამართლომ მიიჩნია, რომ გამოყენებული ზომა არ რეგულირდებოდა „კანონით“, რომელიც დააკმაყოფილებდა მისი პრეცედენტული სამართლის კრიტერიუმებს, არამედ რეგულირდებოდა პრაქტიკით, რომელიც არ შეიძლება ჩაითვალოს კონკრეტულ სამართლებრივ საფუძვლად, რომელიც ადგენს საკმარისად ზუსტ გარემოებებს ისეთი ჩარევისათვის როგორიცაა ამგვარად შეგროვებული ინფორმაციის დასაშვებობა, მოცულობა, კონტროლი და გამოყენება.

აქედან გამომდინარე, სტრასბურგის სასამართლომ მიიჩნია, რომ ჩარევა არ იყო „კანონის შესაბამისი“ და დაასკვნა, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევას.

კონვენციის მე-6 მუხლი

სტრასბურგის სასამართლომ კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ თუ ეროვნული სასამართლოები დაეყრდნობიან უკანონოდ მოპოვებულ მტკიცებულებებს, ევროპული სასამართლო განსაზღვრავს: ა) ეროვნული ტერმინების მიხედვით ,,უკანონობა'' ხომ არ ემთხვევა კონვენციის ავტონომიურ ტერმინ- ,,უსამართლობას''; ბ) ჰქონდა თუ არა მომჩივანს შესაძლებლობა საკითხი დაეყენებინა ეროვნული სასამართლოების წინაშე.

მომჩივნებს საშუალება ჰქონდათ წარდგენილიყვნენ პირველი ინსტანციის სასამართლოს წინაშე, შემდეგ უზენაესი სასამართლოს და საკონსტიტუციო სასამართლოს წინაშე. მას მსჯავრი დაედო სამართალწარმოების ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებდა შეჯიბრებითობის პრინციპს. უფრო მეტიც, გასაჩივრეული ჩანაწერი და სია ხელს უწყობდა და გადამწყვეტიც კი იყო საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების მომზადებისას, თუმცა იგი არ ყოფილა ერთადერთი მტკიცებულება რომელსაც დაეყრდნო ეროვნული სასამართლო. რაც შეეხება საჯარო ინტერესის წონას ამგვარი მტკიცებულების გამოყენებისთვის, ზომა მიღებული იქნა პირის წინააღმდეგ რომელმაც ჩაიდინა სერიოზული დანაშაული მესამე მხარის საზიანოდ და რომელსაც საბოლოოდ თავისუფლება აღეკვეთა ცხრა წლით.

შესაბამისად, ეროვნული სასამართლოების მიერ სადავო ჩანაწერის და სატელეფონო ზარების სიის გამოყენებისას არ დაირღვა მომჩივნის სამართლიანი სასამართლოს უფლება.